სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

BTU ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

სარჩევი

ელენე ლომსაძე, ქეთი ბაჯელიძე, ანგულიკა სარჯველაძე, ,,კიბერთაღლითობა სოციალურ ქსელ Facebook-ის ონლაინ თამაშებში'' 1
ოთარ ფურელიანი, ,,ისლამის როლი ქართული საზოგადოების ფორმირებაში'' 3
ნინო ხუჯაძე, ალექსანდრე ჯახველაძე, ,,ქალის როლი რელიგიაში'' 5
თამარ ულუმბელაშვილი, თეონა ტეფნაძე, მედეა საყევარაშვილი, ,,რასიზმი და მისი გავლენა ადამიანის ფსიქოლოგიაზე'' 6
მარიანა მუთიძე, ,,შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემები საქართველოში'' 8
სოფო ივანიშვილი, ,,კიბო და გენეტიკა'' 9

კიბერთაღლითობა სოციალურ ქსელ FACEBOOK-ის ონლაინ თამაშებში

ელენე ლომსაძე, ქეთი ბაჯელიძე, ანგელიკა სარჯველაძე
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება

ELENE.LOMSADZE.1@BTU.EDU.GE; KETI.BAJELIDZE.1@BTU.EDU.GE; ANGULIKA.SARJVELADZE.1@BTU.EDU.GE

ციფრული ტრანსფორმაციის შემდგომ კიდევ უფრო მეტად გახდა იმის საჭიროება, რომ კიბერსივრცეში არსებული მასალები და მომხმარებელთა პირადი ინფორმაცია მაქსიმალურად იყოს დაცული. მიუხედავად ამისა, სულ უფრო ტოტალურია კომპიუტერულ ინციდენტთა რაოდენობა და ხშირ შემთხვევაში, მას შედეგად მოჰყვება არასასურველი კონტენტის გავრცელება და მისი არამიზნობრივი გამოყენება. დღესდღეობით, კიბერთავდასხმების უმეტესობა სოციალური ქსელების მეშვეობით ხდება, ვინაიდან სწორედ ეს პლატფორმაა ის პლაცდარმი, რომელშიც მომხმარებლები ყველაზე დიდ დროს ატარებენ და ნაკლებად აკვირდებიან იმას, თუ რა ტიპის მონაცემებზე აძლევენ წვდომას სხვადასხვა პროგრამასა თუ აპლიკაციას.

ნაშრომში მოცემულია სოციალურ ქსელ Facebook-ში არსებულ ონლაინ თამაშებში პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების საკითხი გახმაურებული თამაშის, Face-app-ის, მაგალითზე. 2019 წელს, ამერიკელმა კიბერუსაფრთხოების ექსპერტებმა, აღმოაჩინეს, რომ აპლიკაცია ინახავდა მომხმარებლის მიერ მიწოდებულ ემპირიულ მონაცემებს, კერძოდ - სახის ნაკვთებს და იყენებდა არაკეთილსინდისიერად, უნებართვო მონიტორინგის სისტემისა და ე.წ. Deepfake-ის შესაქმნელად.

ნაშრომის ფარგლებში მიმოხილულია ის მიზნები, რისთვისაც აგროვებენ მონაცემებს კიბერთაღლითობისას, რა კატეგორიის პერსონალურ მონაცემებზე ითხოვენ წვდომას და რა პრევენციული გზები არსებობს კიბერთაღლითობის იდენტიფიცირებისთვისა და პრობლემის აღმოსაფხვრელად. აქვე მოხსენიებულია სახელმწიფოს როლი უსაფრთხო კიბერსივრცის ფორმირებასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, იმისათვის, რომ გავაანალიზოთ აქამდე არსებული პრეცედენტები და განვახორციელოთ შესაბამისი ქმედითი ნაბიჯები, საჭიროა, საკითხს შევუქმნათ ერთგვარი საკანონმდებლო ჩარჩო და დავარეგულიროთ სოციალურ ქსელებში არსებული საფრთხის შემცველი რესურსები. საკითხის მსგავსი კვლევა მოგვცემს შესაძლებლობას, წინასწარვე მოხდეს შესაძლო კომპიუტერული ინციდენტების იდენტიფიკაცია და განისაზღვროს გზები, რითიც უნდა ვებრძოლოთ კიბერსივრცეში პირადი ინფორმაციის გავრცელებას/უნებართვო გამოყენებას.

CYBER CRIME IN ONLINE GAMES OF SOCIAL NETWORK - FACEBOOK

ELENE LOMSADZE, KETI BAJELIDZE, ANGULIKA SARJVELADZE
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION

ELENE.LOMSADZE.1@BTU.EDU.GE; KETI.BAJELIDZE.1@BTU.EDU.GE; ANGULIKA.SARJVELADZE.1@BTU.EDU.GE

After the digital transformation, the necessity of personal data protection has become more and more important. Nevertheless, the index of cybercrime is increasing fast and, in many cases, it causes the spread of unwanted content and its misuse. Nowadays, most of the cyber-attacks take place through social networks, as this platform is the springboard in which users spend most of their time and do not pay attention to what type of data access they are giving to different programs or applications.

The research is about personal data security issues in Facebook online games on the example of the widely-known game, Face-app. In 2019, American cybersecurity experts found out that the app was saving empirical data provided by the user, especially - facial features, which was used for the unlicensed monitoring systems and Deepfake.

In this research, we reviewed the purposes why cybercriminals collect data, what kind of personal data is requested for access and what preventive ways exist to identify the cyber-crime and solve the problem. Also, we mentioned the role of government in the formation of a secure cyberspace and raising public awareness.

The study revealed that in order to analyze the existing precedents and take effective steps, it is necessary to create the legal framework and regulate existing social networks. The research will give us an opportunity to identify the possible computer incidents in advance and define the ways of reducing personal data unauthorized sharing/using in cyberspace.

ისლამის როლი ქართული საზოგადოების ფორმირებაში
ოთარ ფურელიანი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება

OTAR.FURELIANI.1@BTU.EDU.GE

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ისლამურ ქვეყნებს საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ ქართულ საზოგადოებაზე.ერთი მხრივ ირანი, თურქეთი და აზერბაიჯანი, მეორე მხრივ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები: დაღესტანი, ჩეჩნეთი ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ადიღეა და ჩერქეზეთი. გარდა გარე ფაქტორებისა ქვეყნის შიგნითაც მრავლად არიან მუსულმანური რელიგიის მიმდევრები, კონრეტულად რომ ვთქვათ, მათი რიცხვი ნახევარ მილიონზე მეტია. საკმაოდ ბევრია მეჩეთებისა და მუსლიმანური სალოცავების რიცხვი ქვეყანაში, რაც ასევე მეტყველებს კონკრეტული საზოგადოებების სიმრავლეზე. საბოლოოდ ვიღებთ სურათს, რომლის მიხედვითაც მუსულმანური რელიგიის მიმდევრების პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, რაც აძლიერებს მათ გავლენას საზოგადოებაზე. ამის ნათელი მაგალითია ბოლო დროს ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მომხადი დაპირისპირება და გამოსვლები აჭარაში, რომელიც ეწინაღმდეგებოდა მეჩეთის მშენებლობას. ჩნდება საჭიროება, პირველ რიგში კონკრეტული რეგილიისა და უმცირესობების შესწავლის და შემდეგ უმტკივნეულოდ გარკვეული ინტეგრაციის, რათა თავიდან ავირიდოთ საფრთხე შიდა დაპირისპირებისა, რაც გამოწვეული იქნება მეზობელი ქვეყნების გავლენის გაძლიერებით მუსლიმანურ საზოგადოებებზე და შედეგად მივიღებთ ხელოვნურად შექმნის კონფლიქტს.

THE ROLE OF ISLAM IN THE SOCIETY OF GEORGIA

OTAR FURELIANI
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION

OTAR.FURELIANI.1@BTU.EDU.GE

Due to the geopolitical location of Georgia, Islamic countries have a great influence on the Georgian society. On the one hand, Iran, Turkey, and Azerbaijan, on the other hand, the republics of the North Caucasus: Dagestan, Chechnya, Ingushetia, Kabardino – Balkaria, Adygea and Circassia. In addition to external factors, there are many followers of the Muslim religion inside the country, their number is more than half a million. There are quite a number of mosques and Muslim shrines in the country, which also indicates the abundance of specific communities. Finally, we can definitely say that the percentage of followers of the Muslim religion is quite high, which strengthens their influence on the society. A clear example of this is the recent confrontation on Beri Gabriel Salosi street and demonstrations in Adjara, which opposed the construction of a mosque. There is a need, firstly to study a specific region and minorities living there and then try to painlessly integrate them to avoid the threat of internal confrontation, which will be exacerbated by the growing influence of neighbouring countries on Muslim societies resulting in artificially created conflict.

ქალის როლი რელიგიაში
ნინო ხუჯაძე, ალექსანდრე ჯახველაძე
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება

NINO.KHUJADZE.2@BTU.EDU.GE; ALEKSANDREJAKHVELADZE.1@BTU.EDU.GE

ქალის რელიგიური და საზოგადოებრივი უფლებების განსაზღვრა თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა და ამოცანაა, რომლის შესახებაც სხვადასხვა სამეცნიერო თუ თეოლოგიური ნაშრომი არსებობს.

ბიბლიაში ვკითხულობთ: ,,ქალი მდუმარედ უნდა სწავლობდეს ყოველგვარი მორჩილების ქვეშ, ხოლო ქალს ნებას არ ვაძლევ იბატონოს ქმარზე, არამედ დუმდეს უნდა, რადგან ჯერ ადამია შექმნილი, შემდეგ კი ევა'' (პავლე მოციქულის ეპოსტოლე კორინთელთა მიმართ პირველი 11:7, 11:8). ქალის რელიგიური უფლებები ყველა ეპოქასა თუ ხანაში მეტად აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს. მიუხედავად ოცდამეერთე საუკუნისა, ქალი დღესაც სუსტ სქესად და მეორე ხარისხოვან არსებად მოიაზრება. პრობლემის დასაბამი კი შორეულ წარსულშია, არა მაშინ როდესაც უფალმა ადამის ნეკნისგან შექმნა ევა, არამედ მაშინ როდესაც ეს ფაქტი სხვადასხვა ეპოქის წარმომადგენელმა სხვადასხვა ინტერპრეტაციით შეფუთა და მიაწოდა საზოგადოებას. მთელი ისტორიის მანძილზე ეკლესიას მამაკაცები მართავდნენ და თავადვე განმარტავდნენ და ხსნიდნენ წმინდა წერილს. ღმერთის ხსენებისას მხოლოდ მამრობითი სქესის ნაცვალსახელს ხმარობდნენ და ქრისტიანული სამება მამრობითი სქესის ტერმინებისაგან (მამა, ძე და სულიწმინდა) შედგება. ყოველივე ამან საზოგადოებრივ ცნობიერებაში წარმოშვა ღმერთის, როგორც მამრობითი სქესის რწმენა.

ანტიქრისტიანული იდეოლოგიით განმსჭვალულ საბჭოთა კავშირის ეპოქაში ქალი, როგორც რელიგიური ნიშნის წარმომადგენელი, სრულ ვაკუუმში აღმოჩნდა. მუდმივი შიში, თავისუფალი აზრისა და ქმედების ვერ გამოხატვა - ეს იყო აღნიშული საუკუნის ქალების ,,მოვალეობები''. თანამედროვე ეპოქა კი მკაფიოდ მოითხოვს ქალთა რელიგიური უფლების შესწავლას. სწორედ ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა საკითხის შესწავლის აქტუალურობა. ნაშრომის ძირითად მიზანს კი წამოადგენს იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომლებიცრომელიც საუკუნეებია არსებობს საზოგადოებაში და, ასევე, იმ ასპექტების შესწავლა და ანალიზი, რომელისთა საშუალებითაც ოდესღაც ქალს რელიგიურ თუ საზოგადოებრივ ყოფიერებაში ჰქონდაგააჩნდა უფლებები.

ნაშრომის მნიშვნელობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მასში თავმოყრილია და პასუხი აქვს გაცემული ფართო საზოგადოებისა და სპეციალისტებისათვის საინტერესო შეკითხვებს.

WOMEN ROLE IN THE RELIGION

NINO KHUJADZE, ALEKSANDRE JAKHVELADZE
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION

NINO.KHUJADZE.2@BTU.EDU.GE; ALEKSANDREJAKHVELADZE.1@BTU.EDU.GE

Defining the religious and social rights of women is one of the most significant challenges and problems of the modern society and there are a lot of scientific and theological works dedicated to this issue.

The religious rights of a woman have been a central and complex issue in any epoch or period. Even in the 21st century, a woman is perceived as a weak gender and a minor creature. The origin of the problem goes back to the past. It doesn't refer to the period when God created Eva out of Adam's rib, but to the period when the representatives of different epochs provided their own interpretation of this story and persuaded people to believe in it. Throughout the history, church was run by men and they interpreted the Holy Writings. When mentioning God's name, they used masculine pronouns and Christian Trinity also included masculine terms (Father, Son and the Holy Spirit). All these contributed to the formation of the God's image as male in social consciousness.

During the Soviet Union Era, which was characterized by antichristian ideology, a woman as the representative of a religious unit, turned out to be in complete vacuum. Constant fear, inability to express ideas and take actions, these were the" duties" of the women of that century. Modern epoch strives to study the religious rights of women. The above-mentioned facts have created the interest and the urgency to study the issue. The aim of the paper is to find answers to the questions that have existed throughout the centuries, and also to study and analyze the aspects, which demonstrate that once women had some rights in religious or social life. Furthermore, the work describes the rights of a woman as a representative of a religious unit in different epochs and parallel is drawn with so called "new time", to find out how the society has developed and what has changed in terms of gender equality.

The value of the work is that it includes the issues and answers to the questions that are so interesting for the wider society.

რასიზმი და მისი გავლენა ადამიანის ფსიქოლოგიაზე

თამარ ულუმბელაშვილი, თეონა ცეფნაძე, მედეა საყევარაშვილი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება

TAMAR.ULUMBELASHVILI.1@BTU.EDU.GE;TEONA.TEPNADZE.1@BTU.EDU.GE;
MEDEA.SAKEVARASHVILI.1@BTU.EDU.GE

დღესდღეობით რასიზმი დიდ პრობლემას წარმოადგენს, საუკუნეების განმავლობაში ადამიანთა გარკვეული ჯგუფი მის წინააღმდეგ იბრძოდა, თუმცა შეჩერება ვერ შეძლეს. ამას მოწმობს ამერიკაში განვითარებული მოვლენები, კონკრეტულად ჯორჯ ფლოიდის უმოწყალო მკვლელობა, რომელიც განხორციელდა პოლიციის მხრიდან და მისი საქციელი დაუსჯელი დარჩა. ასევე ამის ნათელი მაგალითია 2020 წლის არაჰუმანური შემთხვევა, რომელზეც ერთ-ერთი ჩინელი მოქალაქე საუბრობს "AmnaNawaz", ის იხსენებს ნიუ-იორკის მეტროში მომხდარ შემთხვევას, როდესაც ამერიკის მოქალაქე სიტყვიერად გაუსწორდა მას და მის რასას, ამ კონფლიქტის მიზეზი COVID- 19-ის ჩინეთიდან გავრცელების ფაქტია. მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სხვადასხვა აქტივობების გატარება და პრობლემაზე ორიენტირება.

მთავარ კითხვა ისაა თუ რატომ გვიწევს კვლავ რასიზმთან ბრძოლა და რატომ ინარჩუნებს წლების განმავლობაში აქტუალურობას ეს თემა.

რასიზმის პრობლემა არ არის ახალი, ხოლო მისი მიზეზი შესაძლოა ადამიანის არასრულყოფილება იყოს. ისტორიულ ფაქტებს თუ განვიხილავთ დავინახავთ, რომ ოდითგანვე პრობლემატური იყო ეს საკითხი. რასიზმის თეორიულ მოძღვრებასთან ერთად, ჩამოყალიბდა სტერეოტიპები, რომლებიც ადამიანში წარუშლელ კვალს ტოვებს, ყალიბდება იარლიყები, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ რასიზმის მსხვერპლთა თვითშეფასებაზე, ეს ყოველივე კი პირდაპირ კავშირშია ფსიქოლოგიურ ტრავმებთან. ვიღაცას განსხვავებული სახე აქვს, ვიღაცას კი კანის ფერი, თუმცა ეს არ უნდა იყოს საბაბი ადამიანების აღშფოთებისა ანუ საბოლოოდ რასიზმს მივყავართ ვიზუალიზაციის დაქვეითებაზე. ადამიანის თვითშეგნება უნდა მივიდეს აუცილებლად იმ ზენიტამდე, რომელიც უფლებას აღარ მისცემს განახორციელოს ჩაგვრა.

წარმოდგენილი ნაშრომი წარმოაჩენს და საზოგადოებას აცნობს, რა შედეგები მოჰყვება ჩვენ მიერ გადადგმულ რასისტულ ნაბიჯებს და ვართ თუ არა დამნაშავენი, მსხვერპლთა წინაშე.

RACISM AND ITS IMPACT ON HUMAN PSYCHOLOGY

TAMAR ULUMBELASHVILI, TEONA TEPNADZE, MEDEA SAKEVARASHVILI
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION

TAMAR.ULUMBELASHVILI.1@BTU.EDU.GE;TEONA.TEPNADZE.1@BTU.EDU.GE;
MEDEA.SAKEVARASHVILI.1@BTU.EDU.GE

Racism and its impact on people is a widely-discussed topic c today. For centuries a certain group of people fought against it, though they could not stop it. This is evidenced by the events in America, specifically the ruthless murder of George Floyd, which was carried out by the police and his behavior went unpunished. A clear example of this is the inhumane case of 2020, which one Chinese citizen talks about to "AmnaNawaz". He recalls a case in the New York subway where an American citizen verbally assaulted him and his race, the reason for this conflict being the fact that COVID-19 was spread from China. To avoid such cases, it is necessary to carry out various activities and focus on the problem.

Why do we still have to fight racism and why does this issue remain relevant for years? The problem of racism has not just emerged, it is not new, and the reason for it might be human imperfection. The review of history will show that this issue has always been problematic. Along with the theoretical doctrine of racism, stereotypes have emerged that leave an indelible mark on people, form labels, and have a major impact on self-esteem, all of which are directly linked to psychological trauma. Someone has a different look, someone has a different color, however, this should not be an excuse for people to get angry. So ultimately, racism leads to a decline in visualization. Human self-awareness must reach the zenith that will no longer allow oppression because someone has a different visual.

The purpose of the study is to make people think about the benefits of our racist actions and analyze if we are guilty of the restrictions and labels that the victim develops.

შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემები საქართველოში
მარიანა მუთიძე
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება

MARIANA.MUTIDZE.1@BTU.EDU.GE

შავი ზღვის ეკოსისტემის დეგრადაციის პირველი ნიშნები გასული საუკუნის 60-იან წლებში გაჩნდა. მას შემდეგ ეკოლოგიური ვითარება უფრო და უფრო გაუარესდა. მაგრამ დღეს ადამიანი უკვე მეტი შეგნებით ეკიდება გარემოს დაცვას: ნელ-ნელა მცირდება მავნე ზემოქმედება ეკოსისტემაზე და უმნიშვნელო, თუმცა იმედისმომცემი გაუმჯობესებაც შეინიშნება.ხელოვნური დაბინძურება შავი ზღვის უმთავრესი ეკოლოგიური პრობლემაა, რომელსაც ქმნის საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, ატმოსფერული და მდინარეების მიერ ჩატანილი მავნე ნარჩენები, ასევე გემებიდან შეგნებულად თუ შეუგნებლად ჩაცლილი ნაგავი.შავ ზღვას საფრთხეს უქმნის ქიმიური (ორგანული მარილები, ნავთობპროდუქტები, მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები და მიკროელემენტები) და რადიაქტიური ნივთიერებები, მყარი ნარჩენები და შემოჭრილი (არამკვიდრი) ცოცხალი ორგანიზმები.

ნაშრომში მოცემულია სხვადასხვა ფაქტორები რომლებიც უშუალოდ გავლენას ახდენს შავი ზღვის დაბინძურებაზე. ასევე რა მდგომარეობამდე შეიძლება მიგვიყვანოს ყოველივე ამან.

შესაძლებელია ამ პრობლების მოგვარება. საჭიროა ამ საკითხს სერიოზული თვალით შევხედოთ და გავაანალიზოთ ის საფრთხეები რაც თავს იჩენს.ეს ყველაფერი კი მოცემულია ნაშრომში თავისი მაგალითებით.

THE ECONOMIC PROBLEMS OF THE BLACK SEA IN GEORGIA

MARIANA MUTIDZE
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION

MARIANA.MUTIDZE.1@BTU.EDU.GE

The first signs of degradation of the Black Sea ecosystem appeared in the 60s of the last century. Since then the ecological situation has deteriorated more and more. But today people are becoming more aware of the environment: the harmful effects on the ecosystem are gradually decreasing and a small, but promising improvement is observed. Artificial pollution is the main ecological problem of the Black Sea, caused by domestic, industrial, atmospheric waste and deliberately or inadvertently dumped garbage from the ships. The Black Sea is threatened by chemicals (organic salts, petroleum products, persistent organic pollutants and trace elements) and radioactive substances, solid waste and invaded (non-living) living organisms. The paper addresses a variety of factors that directly affect Black Sea pollution, as well as the situation all these can lead to.

It is possible to solve these problems. It is necessary to take this issue seriously and analyze the dangers that might emerge. The paper gives a detailed overview of these issues and provides relevant examples.

კიბო და გენეტიკა
სოფო ივანიშვილი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება

SOFO.IVANISHVILI.1@BTU.EDU.GE

ყოველწლიურად მსოფლიოში 18 მილიონი ადამიანი ავადდება ავთვისებიანი სიმსივნით. ყურადსაღებია, რომ ამ ტემპით ეს რიცხვი 2040 წელს შესაძლოა 29.5 მილიონი გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ მედიცინა წლიდან წლამდე ვითარდება, ინერგება მკურნალობის ახალი, მეტად ეფექტიანიური მეთოდები, კიბო ჯერ კიდევ მომაკვდინებელ სნეულებათა ლიდერად ითვლება.

სიმსივნის განვითარების მიზეზებსა და ნორმალური უჯრედების სიმსივნურ უჯრედებად გარდაქმნის მექანიზმების შესახებ ცნობილია, რომ სიმსივნის ჩამოყალბებას ხელს უწყობს ზოგიერთი ქიმიური ნივთიერება, მაიონიზებელი გამოსხივება და არაჯანსაღი ცხოვრების წესი. უნდა ითქვას რომ არსებობს გენეტიკური მიდრეკილება და მაღალია ალბათობა გენეტიკური რისკის ქვეშ მყოფი ადამიანების კიბოთი დაავადებისა. (აუცილებლად მიუთითეთ წყაროები).

დღემდე მრავალი კითხვის ნიშანი არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა კავშირი აქვს და რა როლს თამაშობს გენეტიკური ფაქტორი ამ დაავადებისას?

კვლევის მიზანიაც სწორედ ესაა, პასუხი გაეცეს შეკითხვას, თუ რა როლს თამაშობს გენეტიკური ფაქტორი ამ დაავადებისას. გამოვლინდეს და სათანადოდ შეფასდეს ის გარემოებები და გენეტიკური რისკ-ფაქტორები, რაომლებიცც კიბოთი დაავადების ალბათობას ზრდის.ნაშრომში საუბარია იმ გენეტიკურ ფაქტორებზე, რომელებიც კიბოთი დაავადების ალბათობას ზრდის, იმ საკვებსაზე და მეთოდებზე, რომლებიცაც სიმსივნით დაავადებისგან გვიცავს, მიუხედავად იმისა, რამდენად მაღალია ალბათობა და გენეტიკური განწყობა და ბოლოს, კიბოს მკურნალობის მეთოდებზე, როგორც ავთვისებიანი, ისე კეთილთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში.

ნაშრომში განხილული წყაროებისა და მონაცემების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კიბოთი დაავადებისას არსებობს გენეტიკური მიდრეკილება, რაც დაავადების რისკს ზრდის, ამიტომ მნიშვნელოვანია გენეტიკური ტესტის ჩატარება და დადგენა, არის თუ არა ადამიანი რისკ-ჯგუფში, რათა შემდგომში მოხდეს შეძლებისდაგვარად პრევენცია და კიბოს გამომწვევი ფაქტორების მაქსიმალურად თავიდან არიდება.

ნაშრომი მნიშვნელოვანია, რადგან მასში თავმოყრილი და სათანადო მაგალითებითაა ახსნილია ის ფაქტორები, რომლებიც გენეტიკურად განპირობებული კიბოს რისკს ზრდის.

CANCER AND GENETICS

SOFO IVANISHVILI
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION

SOFO.IVANISHVILI.1@BTU.EDU.GE

Every year, 18 million people around the world develop cancer. It is noteworthy that at this rate this number could reach 29.5 million in 2040. Although medicine is evolving from year to year, introducing new, more effective methods of treatment, cancer is still considered to be the leader among terminal diseases.

The causes of tumor development and mechanisms of transformation of normal cells into tumor cells are known. Some chemical substances, ionizing radiation and unhealthy lifestyle contribute to the development of cancer... It must be said that there is a genetic predisposition and a high probability of developing cancer in people at genetic risk. There are still many questions related to this issue.

The aim of the research is to find answers to the question "what role does the genetic factor play in the development of cancer?". It also aims to reveal and assess the circumstances and genetic risk factors which increase the likelihood of developing cancer. The study discusses the genetic factors which contribute to the development of cancer and the food and methods which prevent it, no matter how high the risk and predisposition to this disease is. Finally, the study reviews the methods of treatment of malignant as well as begin tumor.

From the sources and data discussed in this paper, we can conclude that there is a genetic predisposition to cancer, which increases the risk of developing the disease. Therefore, it is important to do a genetic test to determine whether a person is at risk to further prevent and avoid the factors causing cancer.

The paper is of utmost importance because it provides detailed description of the factors which increase the risk of developing cancer, followed by examples to give a clear picture of the problem.

საკონტაქტო ინფორმაცია:

0162, თბილისი, საქართველო
ილია ჭავჭავაძის გამზირი #82
info@btu.edu.ge
www.btu.edu.ge
+995 322 195 015

ISBN 978-9941-8-3169-0